

სამშვიდობო ინიციატივების ფარგლებში აფხაზეთის მთავრობის პროექტი სახელწოდებით „საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ“ (13-14 სექტემბერი, 2017)

2017 წლის 13-14 სექტემბერს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და ნდობის აღდგენისა და შერიგების საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აპარატის ორგანიზებით, ქალაქ თბილისში (წყნეთი), სასტუმრო „კოპალაში“, სამთავრობო სტრუქტურებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ“.

პროექტის ფარგლებში, სადაც მონაწილეობას იღებდა 20 ახალგაზრდა, ჩატარდა მასტერკლასები, მოეწყო შეხვედრები ცნობილ და წარმატებულ ადამიანებთან, სამშვიდობო ინიციატივებზე მომუშავე სამთავრობო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ასევე ყოველი საღამო დატვირთული იყო შემოქმედებითი ღონისძიებებით, მოეწყო გამოფენები: „ქართული კალიგრაფია“, „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა აფხაზეთში“.

პროექტის პირველი დღე მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ დირექტორმა გიგა გაბელაიამ ისაუბრა თემაზე „ახალგაზრდული პოლიტიკის გამოწვევები და განხორციელებული საქმიანობა“.
- საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს, ქართულ-აფხაზური, ქართულ-ოსური არაფორმალური დიალოგის მხარდაჭერის პროგრამის კოორდინატორმა ელენე ნათენაძემ ჩაატარა სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეებმა მოისმინეს „ ქართული და აფხაზური ოჯახების ბიოგრაფიები“ და შემდეგ გაიმათეს დისკუსია აღნიშნულ თემაზე.
- საერთაშორისო ტერნერმა, მშვიდობის ელჩმა გიორგი გაბედავამ ისაუბრა თემაზე: „ევროკავშირის სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების წესი“.
- ელისო ჩაფიძემ გააკეთა მოხსენება თემაზე - „პოლიტიკა, ჟურნალისტიკა და ახალგაზრდობა“.
- პროექტის მონაწილე ახალგაზრდებმა მონაწილეობა მიიღეს სამუშაო შეხვედრებში, კერძოდ,
- იურისტმა დავით თორიამ ჩაატარა შეხვედრა თემაზე - „ კონფლიქტის ანატომია უახლესი ისტორიის ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური კონფლიქტების მიმოხილვა, იმიტირებული მოლაპარაკებები, პრაქტიკული სავარჯიშო მედიაციაზე“ (კაზუსები).
- კონსულტანტმა მშვიდობისა და კონფლიქტების საკითხებში, ტერნერმა - გურანდა ბურსულაია ჩაატარა შეხვედრა თემაზე: “Storytelling in Peace Building” .

გარდა სამუშაო შეხვედრებისა, მოწვეული სტუმრების მიერ მოხდა საკუთარი გამოცდილების გაზიარება. საზოგადოება „პროფილის“ ხელმძღვანელმა მანანა გეგიძემ და კომპანია „მარი გოლდის“ ხელმძღვანელმა თამარ ნადირაძემ ისაუბრეს თემაზე: „წარმატების ისტორიები“.

ასევე, გაიმართა ფლორენციაში განხორციელებული პროექტის ფარგლებში ინტერნაციონალური ჯგუფების მიერ გადაღებული ფილმის „საერთო წარსულით საერთო მომავლისაკენ“ და

ჟურნალისტის, სოციალური მედია-მენეჯერის ხატია გოგოხიას ფილმის „ხიდის ორი მხარე“ ჩვენება და დისკუსია.

სამთავრობო ინსტიტუციებიდან და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან მოწვეული სტუმრებისა და ახალგაზრდების მიერ განხილულ იქნა ახალგაზრდების ჩართულობით განხორციელებული პროექტები, გაიმართა დისკუსია თემაზე: „ საქართველოს თანამედროვე გამოწვევები, გამოცდილების გაზიარება და პერსპექტივები“ ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები.